

## ქუთ: ხაჭაპურის საიდუმლო და მისი კავშირი მრავალძარღვასთან

### ლელა ჩოთალიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;  
თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის კლასიკური ენების მასწავლებელი  
ელ-ფოსტა: [lela.chotalishvili@tsu.ge](mailto:lela.chotalishvili@tsu.ge)  
ORCID: <https://orcid.org/0009-0003-3205-6981>

### ნინო წერედანი

ისტორიის დოქტორი, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის  
მუზეუმის არქეოლოგიისა და ისტორიის კვლევითი  
მიმართულების სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი  
ელ ფოსტა: [ninotserediani5555@gmail.com](mailto:ninotserediani5555@gmail.com)

### ნარგიზ ახვლედიანი

ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის  
ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული  
ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი  
მეცნიერი თანამშრომელი  
ელ-ფოსტა: [nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge](mailto:nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge)  
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-3787-0195>

**აბსტრაქტი.** სვანეთში „დიარ“ დღემდე საკვები პურის სახელია, ხოლო მისგან ფუნქციურად და არსობრივად „გამოცალკევებული“ სარიტუალო პური არის „ლე-მზირ“, ანუ „მზირ“-ის პური. „ლე-მზირ“ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელთა შორის ერთ-ერთია „ქუთ/ქუთვ“ – ხაჭაპური, ყველჩართული პური.

მოცემული კვლევა ეხება რიტუალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტის, ყველის დამზადების ტექნოლოგიას. იმის დასამტკიცებლად, რომ რძის საკვეთად ცხოველურ ფერმენტამდე საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი გამოიყენებდა მცენარეულ ფერმენტს, ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელმაც დაადასტურა, რომ ყველის მცენარით ამოყვანა, საქონლის კუჭის გარეშე, შესაძლებელია და ეს მცენარე არის მრავალძარღვა, რომელიც გამოირჩევა თავის სამკურნალო თვისებების წყალობით და რომელსაც ჰქვია პურის, ხაჭაპურის სახელი – „ქუთ-კვან“ („ქუთ“ – ხაჭაპური, „კვან“ – პური გულსართის გარეშე).

**საკვანძო სიტყვები:** მრავალძარღვა; ყველი; ქუთ; ლე-მზირ; დიარ.

\* \* \*

**შესავალი.** სვანეთში „დიარ“ ჰქვია ნებისმიერი ფორმის, შიგთავსისა თუ დანიშნულების პურს. მისგან იწარმოება მთელი რიგი სიტყვები: „დირო-ობ“ – პურობა, „მე-ლ-დიარ“ – მჭამელი, „ლი-დიარ-ი“ – ჭმევა, „ლე-დიარ-ი“ – გამოსაკვები, „ლა-ლდიარ“ – ბაგ და ა. შ. ქორწილიც კი ქართველურ ენებში „დიარ“-თან არის დაკავშირებული (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 418-419).

მინაარსობლივად „დიარ“ დედის პურს უნდა ნიშნავდეს, რაც საერთოდ არაა გასაკვირი, რადგან ოდითგან მიწით საქმიანობა ქალის მოვალეობა იყო ისევე, როგორც ნადირობა და საქონლის მოშენება მამაკაცის საქმე. „დი“ ხომ დედაა სვანურში, „ლადიარ“, „ლადეერ“ კი – დედულეთი (ჩუხუა მ., 2017, გვ. 188, 616).

სვანური ენა, ერთ-ერთი უძველესი ქართველური სამეტყველო ენა, თეონიმით იყოფა სადაგად და საკრალურად, ამიტომ თეონიმი განაპირობებს საკრალური და სადაგი ლექსიკის არსებობასაც. საკრალური ცნობიერება სვანეთში მეტყველებას იწყებს სიტყვა „მზირ“-ით, რომელიც აყალიბებს წინარეპრისტინულ მსოფლმხედველობას და ქმნის რელიგიური კონტექსტის ყველა შესაძლო ვარიანტს<sup>1</sup>. „მზირ“-ისგან იქმნება და იწარმოება ხუთი სახელდება. ესენია:

1. „ლე-მზირ“- შესაწირი წმინდა პური;
2. „ლი-მზირ“- ლოცვა, წმინდა რიტუალი;
3. „ლა-მზერ“- მადლი, ლოცვით უკუგებული;
4. „ლა-მზერ“- სალოცავი, ტაძარი;
5. „მე-მზირ“- მლოცველი.

„მზირ“-ით წარმოებული ეს ხუთივე სიტყვა კომპლექსურად ქმნის რწმენისა და მსახურების გამართულ სისტემას: გვყავს ღვთაება („მზირ“), გვაქვს შესაწირიც („ლემზირ“), გვაქვს შესაწირი ადგილიც („ლამზერ“), გვყავს შემწირველიც („მემზირ“) (წერედიანი, 2023, გვ. 430). მრგვალ, გაბრტყელებულ პურს სანამ სამი ლემზირი არ დაესახება, საკვები პურია („დიარ“), დაესახება და ხდება „ლე-მზირ“ (საკრალური პური). სწორედ „დიარ“-ზე დასახული სამი ნაწიბური განასხვავებს მას სხვა პურისგან (წერედიანი, 2023, გვ. 429-473). „ლემზირ“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სა-მზირ-ოს“ ანუ, „მზირ“-ისთვის შექმნილს, მისთვის მიძღვნილსა და განკუთვნილს. იგი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელთა შორის ერთ-ერთია „ქუთ/ქუთვ“ – ხაჭაპური, ყველჩართული პური.

**მეთოდები.** იმის დასამტკიცებლად, რომ რძის საკვეთად ცხოველურ ფერმენტამდე საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი გამოიყენებდა მცენარეულ ფერმენტს, ჩატარდა ექსპერიმენტი. ქალბატონ ნინო წერედიანის ექსპერიმენტის შედეგად დადასტურდა, რომ ყველის მცენარით ამოყვანა შესაძლებელია და რომ რძის საკვეთად ცხოველურ ფერმენტამდე საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი გამოიყენებდა მცენარეულ ფერმენტს.

სახელწოდებათა ანალიზისას კი გამოვიყენეთ ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური და ეტიმოლოგიური მეთოდები.

**მსჯელობა.** გულსართის მიხედვით სვანურში განარჩევენ ხაჭაპურის („ქუთ“) ნაისრახეობას. როგორც ალ. დავითიანი წერს: „...კვან“ (ცარიელა) პურს სადაგ დღეებში აცხობენ. რისიც არ უნდა იყოს, ერთნაირად ჰქვია. ცალკე თქმისას პურთან ერთად ასახელებენ იმ მარცვლეულის სახელს, რისგანაც ის არის: ხორბლის პური, სიმინდის, ქერის, ფეტვის პური... კიდევ უფრო მრავალნაირია გულჩართული პური სვანეთში, ანუ „ქუთ“. გულსართის სახეობის მიხედვით სხვადასხვა დასახელების ხაჭაპური („ქუთ“) გვაქვს ზემოსვანურში... „ქუთ“ პირველ რიგში მხოლოდ ყველჩართულს ჰქვია და შემდეგ სხვადასხვა ჩასართავი რაც იქნება: კარტოფილი, ლობიო, ჭარხალი და სხვა რამე, რაც ურევია, იმასაც ხაჭაპურს ეძახიან, მაგრამ ასეთი ხაჭაპურის დასახელებაში აუცილებელია გულსართის სახელი“ (გაზდელიანი & ჭკადუა, 2015, გვ. 9-10).

„ქუთ ლემზირ“, საკრალური ხაჭაპური, უმთავრესად ქალების დღესასწაულებისას ცხვება, უწენალებისას – იმ დღეს, როცა რიტუალს მხოლოდ ქალები ადასრულებენ. „ქუთ ლემზირ“ შესაწირია ლამარიასი და დალ იეშხამისა, მათ ყველაფრის სიუხვით გაჩენას, მეწველი საქონლის

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი მზისა და მთვარის ეტიმოლოგიის კვლევისას აღნიშნავს, რომ „მზის სახელის სრული ფორმაა „მზირა“ / „მზერა“ და „მჟარა“, რომელთა გვერდითაც დგას სვანური „მიჟ“ (მიჟარა). მეორე მხრივ, მთვარის სახელი ჩეჩნური „მაზერ“, ყაბარდოული „მაზა“, აფხაზური „ამზა“... ბადებს აზრს, რომ მზის სახელი თავდაპირველად მართლაც მნათობის თვისების ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვა, ე. ი. მიმლეობა ან ზედსართავი სახელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში ქართულში მზის აღმნიშვნელ ტერმინად, აფხაზურ-ჩერქეზულში კი მთვარის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა (ჯავახიშვილი, 1979, გვ. 169).

სიმრავლეს და მათი მომვლელი ქალების კარგად ყოფნას ევედრებიან. „ქუთ ლემზირ“ არის სამყაროს დამბადებელისადმი აღსავლენი, „დაბდაბა“ (დამბადებელი) ლამარიას შესაწირი, „გიმჟი“ (მიწის) ლამარიას და „კერი“ (კერის) ლამარიას შესავადრებელი. ყველა ეს ღვთაება უკავშირდება მღვდრობით არსს – მიწით, ცით, ადამიანით თუ საქონლით გამოხატულს. „ქუთ“ არ არის განკუთვნილი მამრი ღვთაებისთვის, მისია „კუბდი ლემზირ“, რასაც ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს<sup>2</sup>.

როგორც მერაბ ჩუხუა აღნიშნავს, ხაჭაპურის ტრადიცია რომ ნამდვილად ქართულია, იქიდანაც ჩანს, რომ ენაში დასტურდება სინონიმური სიტყვა „ქადა“ (ერბოიანი; ერბოთხელილი პური), რომლის კანონზომიერი შესატყვისია სვანური „ქადაარ“. ქართველური „ქადა/ქადაარ“-ის კანონზომიერი შესატყვისები უნდა იყოს წვავთუშური „ქოტარ“ (კვერი რაიმე შიგთავსით) და ჩეჩნური „ქოლან“ (ხორციანი კვერი). მკვლევარის აზრით, ცალკე დგას სვანური „ქუთვ“ (ხაჭაპური), რომელიც საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვა ჩანს. მას შესატყვისები ეძებნება დაღესტნურშიც: ს.-დაღ. „\*ქუ(რ)თუ“ (ღვეუელი, პური); ლეზგ. „ქუთ“ (პურის სახეობა). სვანურ-დაღესტნურ იზოგლოსთა კანონზომიერი შესატყვისები ნახური და სინდური ჯგუფის ენებში არ ჩანს (ჩუხუა მ., 2021, გვ. 140).

როგორ უნდა შექმნილიყო თავად ყველი, „ქუთ“-ის გულსართი და რიტუალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი? მეცნიერების ვარაუდით, ყველის ისტორია ოთხ ათასწლეულს ითვლის, საქართველოში ნაპოვნი ყველის ჭურჭელი კი რვა ათასი წლისაა. ასე რომ, ყველის გულსართიანი საკვები ნამდვილად უძველესი პროდუქტი უნდა იყოს.

ქალბატონი ნინო წერედიანი დარწმუნებული იყო, რომ ყველის შექმნის პროცესი აუცილებლად დაკავშირებული იქნებოდა მცენარესთან, მოკვლევაც ამ რწმენის გამო დაიწყო. პასუხის ძიების პროცესში კი მიაგნო ინფორმაციას, რომ ლატალსა და ცხუმარში მრავალძარღვას სახელი არის „ქუთ-კვან“, „ქუთ“ – „დედალი“, ფართოფოთლოვანი და „კვან“ – გრძელფოთლოა, „მამალი“, ანუ მცენარეს ჰქვია პურის, ხაჭაპურის სახელი – „ქუთ-კვან“ („ქუთ“ – ხაჭაპური, „კვან“ – მხოლოდ პური, გულსართის გარეშე).

იმის დასამტკიცებლად, რომ რძის საკვებად ცხოველურ ფერმენტამდე საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი გამოიყენებდა მცენარეულ ფერმენტს, ნინო წერედიანმა 2023 წლის მაისში საკუთარ ეზოში ამოიღო მრავალძარღვა და ნახევარლიტრიან რძით შევსებულ ქილაში ჩადო; შემდეგ დადგა ფანჯრის რაფაზე, მზის მხარეს; გავიდა ორი დღე და მესამე დღეს რძისგან გამოიყო შრატი; შემდეგ ჩადგა თბილი წყლით სავსე ქვაბში და ამოიყვანა ყველი; რძეში სხვა მცენარეებიც ჩაყარა და ყველამ ამოიყვანა ყველი, თუმცა ბალახით ამოყვანილი ყველი არ მომწიფდა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისგან სულგუნის გაკეთება. შესაბამისად, ეს მხოლოდ საქონლის კუჭის (დღერ) დვრიტად გამოყენების შედეგად უნდა მომხდარიყო<sup>3</sup>. რატომ საქონლის კუჭი? იმიტომ რომ ყველა მცენარის ფერმენტაცია სწორედ საქონლის კუჭში ხდება.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა ენაზე საუბრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პირველი ადამიანები და რის საფუძველზე, რა პრინციპით მიესადაგებოდა საგნებს, მოვლენებს, ემოციებს ჯერ ბგერები, მერე მათი შეთანხმება, მერე სიტყვები და ბოლოს წინადადებები. ივანე ჯავახიშვილი გვიხსნის, რომ პირველად საკვებად გამოყენებულ ბალახს საქართველოში „დიარ“ უნდა ჰქვოდეს. „პურის ჭამა“ და „ქორწილიც“ ქართველურ ენებში, „დიარ“-თან არის დაკავშირებული (ბრეგაძე, 1987, გვ. 3-8). აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მრავალძარღვას

<sup>2</sup> ზხ. კუბდარ, ბქ. კუბდარ, ლშხ. კუპტარ, კუპატი დიარ, ლნტ. კუპატარ//კუპატი დიარ. (ლი-კბად-ი „დაკეპვა“) (წერედიანი, 2023, გვ. 15, 187, 302, 303).

<sup>3</sup> თუ „დღერ“ არის ღორის, მისგან ამოყვანილი ყველი იკრძალება წმინდა საქმისთვის, ანუ ლოცვისთვის. მისი „ქუთ ლემზირი“ არ აღევლინება არავის. ასეთ დროს დაშვებულია მხოლოდ საქონლის კუჭი, ისიც მუშუმწოვარა ხბოსი.

დახმარებით შექმნილ საკვებსაც, მცენარის სახელწოდების გათვალისწინებით, დარქმეოდა „ქუთ“ ისევე, როგორც ეს „ღიარ“-ის შემთხვევაში მოხდა. გრძელფოთოლა, „მამალ“ მრავალ-ძარღვას კი ალბათ მოგვიანებით, მეტონომიით ეწოდა „კვახ“. რატომ მრავალძარღვა და არა სხვა მცენარე? „ქუთ“ – მრავალძარღვა, ადამიანის ფეხის დანაბიჯზე ამოდის, დანარჩენი მცენარეები კი იქ, სადაც მიწა დამუშავდა. შესაბამისად, ყველის ამოყვანის ფუნქცია თავდაპირველად ალბათ მრავალძარღვას ხვდა წილად. ეს რომ ასეა, ამას მისი კომპოზიტი სახელწოდებაც ამტკიცებს, ანუ „ქუთ-კვახ“, რაც ნიშნავს პურს – ყველიანსაც და უყველოსაც.

სვანური ხაჭაპურის სახელში დადასტურებული ფუძე, შესაძლოა, არეკლავდეს წინაბერძნულ კუტ- და ქართველურ \*ქუთ- ფუძეს, რომელიც საერთოქართველურ დონეზე აღადგინა ჰ. ფენრიხმა<sup>4</sup>. აღნიშნული ფუძე, მკვლევართა ვარაუდით, არის ტოპონიმ „ქუთაისის“ ფორმირების საფუძველი. ეს ტოპონიმი არგონავტების თქმულების უძველეს ვერსიებშიც გვხვდება და არ ემყარება ბერძნულ ეტიმოლოგიას. Κύταια/Κυταία ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული სხვადასხვა ავტორთან მოიხსენიება როგორც ლეგენდარული, ასევე ისტორიული კოლხეთის მთავარ ქალაქად, რომელიც მედეას სამშობლოა. სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით: „...ზოგიერთის აზრით, Κύται ὄρια – აქაური და ევროპული. არსებობს ასევე ქალაქი Κύταιον კრეტაზე“ (Steph. Byz. Ethn.). როგორც ჩანს, სტეფანე ბიზანტიელის მიერ ხსენებული ქალაქი Κύταιον მიკენურ ეპოქაში უკვე არსებობდა კუნძულ კრეტაზე, რასაც მიკენურ B-ხაზოვან დოკუმენტებში მისი მრავალგზისი მოხსენიება ამტკიცებს. რ. ბრაუნი გეოგრაფიულ სახელწოდებას Κύταιον წინაბერძნულად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ მას მიმართება უნდა ჰქონდეს კოლხი მედეას დაბადების ადგილთან Κυταία, რომელიც წყაროებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: Κύται, Κύτη, Κυταίς, Κυταΐς, Κύτηϊς და სხვა (Brown, 1985, pp. 97-125). ეს ტოპონიმი ბერძნულ წყაროებში ელინისტური ეპოქიდან ჩნდება, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი შედარებით გვიანდელი წარმომავლობისაა, თუმცა, როგორც ჩანს, აიეტის სამკვიდრებლის სახელწოდება ელინისტურ ეპოქაში არ წარმოქმნილა. ამაზე, სავარაუდოდ, მიგვანიშნებს ფრიქსოსის ვაჟის სახელი Κυτίσπαρις (რომელსაც უკვე ჰეროდოტე იცნობს) და ანატოლიაში მდებარე ქალაქების სახელწოდებები: Κύτσαρις (ჰაფლაგონია), Μασσί-κυτος (ლიკია) და, შესაძლოა, Κόται (კარია). თავად ტოპონიმი „ქუთაისი“ სამსავე ქართველურ ენაში კანონზომიერი შესატყვისობებით დასტურდება: ქართ. ქუთაისი / მეგრ. ქუთეში / სვან. ქუთაში, რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ეს დასახლება ან რეზიდენცია საერთოქართველურის ცირკულირების ხანაში უკვე არსებობდა (ჩოთალიშვილი, 2019, გვ. 227-246).

რ. ბიქესის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში კუტ- ფუძის შემცველი ლექსიკური ფორმატივები მიკუთვნებულია წინაბერძნულ ლექსიკურ ფონდს, რომელიც ბერძნულ ეტიმოლოგიას არ ექვემდებარება: κύτιο „ბროწეულის ყვავილის ბუტკო“, κύταρον „კოვზი, ჩამჩა“, κύταρις „ფიჭა“, κύδαρις „პატარა ნავი“, κυτσί „ბუდეები, ყუთები“ (Beekes, 2014). რ. ბრაუნი კი სხვადასხვა ფორმატივის ანა-ლიზის საფუძველზე ასკვნის, რომ წინაბერძნული კუტ- ფუძის მნიშვნელობა უნდა იყოს „სათავსო“ (Brown, 1985, pp. 97-125).

ქართველური \*ქურთ-/\*ქუთ- ფუძე, მ. ჩუხუას აზრით, უნდა მომდინარეობდეს ს. ქართველურიდან -\*ქართ-(ა) / ზან. -ქურთა/ქუთა (შემოღობილი, შემოსაზღვრული ადგილი > ქალაქი) (ჩუხუა მ., 2000-2003). მაშასადამე, კუტ-/\*ქუთ- უნდა აღნიშნავდეს ამოდრმავებულ, შემოღობილ, შემოსაზღვრულ ადგილს, საგანს: კოვზი / ბუტკო / ჩენჩო / ფიჭა / ბუდე / ყუთი / გემი (შდრ. ს.-ქართველ. „\*ქურთ“ / სვან. „ქუთ-ულ“ – მუხლი, კვირისტავი, სვან. „ქუფ“ – კიღობანი, ბუდე, გაწურული ყველის შესანახი ჭურჭელი). შესაბამისად, -ქუთ ფუძის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ

<sup>4</sup> ქართ. ქურდ-ქუთ (ქუთ-ნ-ა/გა-მო-ქუთ-ნ-ა); მეგრ. ქვირთ-ი (ქურდი); სვან. ქვით-, ქვთ- (ქურდი ანუ გამომცარიე-ლებელი (Fähnrich, 2007).

ჯერ გულჩართულ, ამოდრმავებულ პურს ეწოდა „ქუთ“, შემდეგ კი – მცენარეს, იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება მის რძის კვეთის თვისებებს.

**დასკვნები.** ამრიგად, როგორც ექსპერიმენტმა დაადასტურა, ყველის მცენარით ამოყვანა, საქონლის კუჭის გარეშე, შესაძლებელია და ეს მცენარე არის მრავალძარღვა, რომელსაც ჰქვია ხაჭაპურის სახელი – „ქუთ“.

შესაძლოა, მრავალძარღვას დახმარებით შექმნილ საკვებს მცენარის სახელწოდებიდან გამომდინარე ეწოდა „ქუთ“ ისევე, როგორც ეს „ღიარ“-ის შემთხვევაში მოხდა ან პირიქით, -ქუთ ფუძის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, ჯერ გულჩართულ, ამოდრმავებულ პურს ეწოდა „ქუთ“, შემდეგ კი – მცენარეს, იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება მის რძის კვეთის თვისებებს.

ფუძის სემანტიკის გათვალისწინებით, შეიძლებოდა უფრო შორს წასვლა და იმის დაშვება, რომ მცენარისა და ხაჭაპურის დასახელება უკავშირდება საერთო -ქუთ ფუძეს, რომელიც, სავარაუდოდ, შეესაბამება სამყაროს შემოქმედის არქეტიპულ „სახეს“ და „ფუნქციას“, რაც მდედრის ბუნებით არის გამოსატული – „ქუთ ლემზირ“ ლამარიას და დალ იეშხუამისას შესაწირია, იგი უმთავრესად იმ დღეს ცხვება, როცა რიტუალს მხოლოდ ქალები ადასრულებენ. სვანეთში ხომ ქალს ეკუთვნოდა მიწათმოქმედების პროდუქტების გამგებლობაც, მარცვლეულის მარაგის განაწილებაც და ხარჯვაც, მათი „გუმში“ შენახვა, „ლემზირის“ დაცხობა და ლოცვის ყველა წესრიგის წარმართვა. საკრალური ენაც და რიტუალების საწყისი შრეც ქალს უკავშირდება, კერის არსიც სვანეთში საკრალურად იგივეა, რაც ქალის არსიც; შესაბამისად, კერის, საცხოვრისის, ოჯახის, მიწისა და ქალის სიმბოლიკაც იდენტური ბუნებისაა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ „ქუთ“ „დედალი“ მრავალძარღვას დასახელებას წარმოადგენს, ხოლო საკვები „თ“, „ეთ“, „ოთ“ მდედრობითი სქესის სიტყვის დაბოლოებად მიიჩნევა (Март, 1908, გვ. 9). ვფიქრობთ, საკითხი საგანგებოდ შესწავლას საჭიროებს, პასუხი ამაზე მომავალმა ინტერდისციპლინურმა კვლევებმა უნდა გასცეს.

### **ბიბლიოგრაფია**

- ბრეგაძე, ნ. (1987). საქართველოში მიწათმოქმედების წარმოშობის საკითხისათვის. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XXIII, 3-8.
- გაზდელიანი, ე., & ჭკალუა, რ. (2015). არასარიტუალო პურის (ღიარ) ნაირსახეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზი ქართულში. *ეტიმოლოგიური ძიებანი*, XII, 3-12.
- ჩოთაიშვილი, ლ. (2019). ლეგენდარული აია და მასთან დაკავშირებული ლექსიკური ფორმატივები ენობრივი მონაცემების შუქზე. *ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში* 5, 227-246.
- ჩუხუა, მ. (2000-2003). *ქართველურ ენათა – კილოთა შედარებითი ლექსიკონი*. თბილისი: უნივერსალი.
- ჩუხუა, მ. (2017). *ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი*. თბილისი: საარი.
- ჩუხუა, მ. (2021). სვანურ-დადესტნური იზოგლოსები. *ეტიმოლოგიური ძიებანი*, XVIII, 100-165.
- წერედიანი, ნ. (2023). *ლატალიდან დღეობებით სამყაროზე მოყოლილი ამბები*. თბილისი: ფავორიტი.
- ჯავახიშვილი, ი. (1979). *ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად* (ტ. 1). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Beekes, R. (2014). *Pre-Greek: Phonology, Morphology*. Leiden: Brill.
- Brown, R. (1985). *Evidence for Pre-Greek Speech on Crete from Greek Alphabetic Sources*. Amsterdam : Adolf M. Hakkert Publisher.
- Fähnrich, H. (2007). *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*. Leiden. Boston: Brill.
- Март, Н. Я. (1908). *Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими*. СПб.: тип. Имп. акад. наук.